

სახელმწიფო ფურცელი

სურათებიანი ჟურნალი

გაზეთის № 432

ლაგატივის № 77

კვირა, 15 ნოემბერი 1915 წ.



გიორგი დვანაშვილი
(გარდაცვალებიდან ხუთი წლის უსრულების გამო)

ერთ მეჯლისში — ერთ ქაღზე

... მაცა! მაცა! მეც გაიმბობთ ერთ ჩემ მიერ შექმნილ ივავს —
 ვიწყობ აი! ჰო: მყავს სატრფო მაგრამ სხვებს რომ არ მიმივავს?
 იგი იცვამს ისეთ კაბას, ისეთ ჭრელს და მოხდენილსა,
 რომ მაგონებს ყაყაჩოს ტყეს გვირილებით მოფენილსა;
 იგი ისე კობტად მღერის, ისე კობტად ლაპარაკობს
 გეგონებათ თეთრ კულიდან თეთრი ღვინო მორაკრაკობს,
 იმის ხმაზე თვით ვარდიც კი წითელ ცრემლად მოიღვრება. —
 ... მაგრამ იცით? — მეჯავრება!..

იგი თუმცა ჯერ ნორჩია ერთი კიკნა, ერთი ბეწვა,
 მაგრამ გული მიწიფული ტრფობით უკვე გადაიწვა;
 ის იცინის ისე ნაზად, ის იცინის ისე მკვლელად,
 რომ მთვარეც კი შუქს სთხოვს ხოლმე ცოდვილ ქვეყნის დასავლელად;
 იმის ტანი დროშის ტარს ჰვავს; ამართულსა, ასულს, აყრილს;
 იმის ტუჩი ფინჯანსა ჰვავს, ვარდის ფინჯანს, ნამ-გადაყრილს,
 ვუყურებ და ვსტკბები ცქერით, ცქერით თვალი ვერა ძღება. —
 ... მაგრამ იცით? — მეზიზღება!..

ი. გრიშაშვილი.

საერთაშორისო ომი



იტალიის ჯარი. ალპის მსროლელთა რაზმი მწვერვალოებზე.

ისევ ია, სინიორინა! ესენი გეტყვიან, რასაც ვფიქრობ თქვენზე.
მარიო.

10 მარტი 1892 წ.

მე თქვენზე ვოცნებობ, ვფიქრობ თქვენზე. მაგრამ ვერ მომი-
ხერხებია გამოვსთქვა სხვა გვარად, თუ არ ყვავილებით!

მარიო.

11 მარტი 1892 წ.

თქვენ მე თავი მომაბეზრეთ! მე თითონ, უშუამავლოდ გამო-
მიცხადებია ეს თქვენთვის!

ანდელა დაურო.

12 მარტი 1892 წ.

მოგაბეზრათ თავი საბრალო, წყნარმა იამ? მაშ გადაისროლეთ
ისინი. მაგრამ იმ წუთში თქვენ უნებურად გაიხსენებთ მას, ვინც
ისინი გამოგიგზავნათ. მე კი მხოლოდ გთხოვთ, მსურს, ვოცნებობ
მხოლოდ იმაზე, რომ დღე-ღამის განმავლობაში მიჩქვით მხოლოდ
ერთი წუთი თქვენის ფიქრისა. ამიტომაც, იცოდეთ, ყოველ დილას
მიიღებთ იის კონას ჩემგან. აღარ მოგწერთ არც ერთ სიტყვას. მეტს
ველარას მიუმატებ მას, რაც უკვე გითხარით.

მარიო.

17 მარტი 1892 წ.

სინიორ მარიო! მე რეპეტიციის შემდეგ ყოველ დღე შინა ვარ,
ე. ი. სამი საათის შემდეგ. მოდით ჩემთან, მოვილაპარაკოთ... თქვენ
სიყვარულზე!

ანჟელა.

21 მარტი 1892 წ.

თქვენ ჩერჩეტი ყოფილხართ, ძვირფასო სინიორ მარიო! ვარ-
წმუნებთ — ეს პირველად არის, რომ ასე დადხანს მალოდინებენ...
(განა მე თითონ არ მოგიწვიეთ?) მაგრამ შეიძლება თქვენ მორცხვი
ხართ? ძალიანა მსურს გავეცნო ასეთ იშვიათ არსებას! თუ ჩემსას
მოსვლას ვერა ჰბედავთ, მაშ მოდით თეატრის კულისებში. მე თქვე-
ნა განახეთ ღვინო ანტონისთან ერთად ის თქვენი მეგობარია? მაშ
იმას მოჰყვით!

ანჟელა.

29 მარტი 1892 წ.

თქვენ სულელი და მახინჯი ყოფილხართ! გამოუთქმელად მო-
მაბეზრეთ თავი თქვენი თაიგულებით, რომელიც ყოველ დღით
მომდის. უმორჩილესადა გთხოვთ შესწყვიტოთ! თუ კი იმდენი მამა-
ცობა არ შეგწევთ, რომ მე გამეცნოთ, მაშ რაღა საჭიროა ეს ყვა-
ვილები? გეფიცებით, რომ აღარ ვიცი, სად დავატიო ისინი. გეყო-
ფათ თუ არა?

ანჟელა.

4 აპრილი 1892 წ.

იცით თუ არა თქვენ, სინიორ მარიო, რომ ჩვენი დასი ზეგ


აზი თვალნი

მოთხრობა მარკო პრაგისა.

3 მარტი 1892 წ.

მე თქვენ მიყვარხართ, სინიორინა, და მივანდე ყვავილებს ეს
გადმოგცეთ თქვენ.

მარიო ლორასკო.



სურათი: ქალაქი მონასტირი.



ზორუნეი ალექსანდრე
დადეშქელიანი
(მოკლულია).



ათანასე არჩვაძე
(დაჭრილი).

მიემგზავრება და მეც მასთან ერთად? მოდით გამოსამშვიდობებლად
მანც. მოგელით ხვალ, ოთხ საათზე.

ანუელა.

6 აპრილი 1892 წ.

სენიორა ანუელო დაუროს, თეატრი დეერბინო ტურინი.

ჩემო ღვთაებავ ანუელა! ეს არის ეხლა დავბრუნდი სადგური,
დან, სადაც თქვენ გასაცილებლად ვიყავი. სადაც ყველასაგან შეუმ-
ჩნევლად თვალ-ყურს გაღვენებდით.

რა წამება იყო!

რას დავდევი, ახლოსა ხართ თუ შორს ჩემგან! მე ხომ არაფრის
იმედი არა მაქვს, არაფერს არ ვთხოვლობ თქვენგან. და მანც რა
წამება გამოვიარე! ეხედავდი, როგორ ემშვიდობებოდით თქვენ მრავალ
თაყვანის მცემლებს, მხიარულად, სიცილით შეხვედით მატარებელში.
მესმოდა, როგორ გინატრიდენ მშვიდობიან მგზავრობას, გამარჯვებას,
მალე დაბრუნებას! ისინი შევპირდნენ, რომ გნახვენ ტურინს,
გენეეს, ლივორნოს, ფლორენციაში. სხვები გიწინასწარმეტყველებდნენ,
რომ ნოემბერში თქვენი დასი ისევ დაბრუნდება მილანში. ხელზე
გკოცნიდნენ. ერთმა მათგანმა მოგეხმარათ მატარებელში ასვლაზედ,
ხელი მოგკიდათ და მერე დიდხანს არ გაანთავისუფლა თქვენი ხელი.
ამის დანახვაზე თითქოს მე რაღაც მომწყადა გულზე.

მაგრამ მე უფრო უარესი დავინახე და გავიგონე: უშნო და უღამაზო
მსახიობები შურის თვალთ გიციქეროდნენ თქვენ მატარებლის
ფანჯრებიდან. რამდენი ზიზღი იყო იმათ გამოხედვაში ო, როგორ
მსურდა ყველასათვის სილა შემომეკრა!.. ახალგაზრდები გიციქეროდნენ
თქვენ თამამად. ერთმა იმათგანმა რაღაც სისძაველ სთქვა თქვენ
შესახებ... გაგიყვებით სურვილმა შემიპყრო მივვარდნო-
დი მას მას და...

მაგრამ რად გამბობთ ყველა ამას? რასაკვირველია თქვენ იცით,
რას ფიქრობენ და რას ლაპარაკობენ თქვენზე... თქვენთვის ხომ
ეს სულ ერთია, იმიტომ რომ თქვენ არა ჰფარავთ თქვენს საქციელს,
თქვენს ცხოვრებას! მე ვიცი, რომ თქვენ ყველას თამამად ეუბნებით:
„ხელოვნება ჩემთვის მხოლოდ მიზანია... სცენა მშველის, რომ თავი
გამოვიჩინო! ვისაც სურს, შეუძლიან ჩემი დასაკუთრება... ფულით
მე ყველას ვეკუთვნი!“

მე მიაბძეს ეს. კარგად ვიცი! მთელი ოცდა ჩვიდმეტი დღეა თვალ-
ყურს გაღვენებთ, ერთი ნაბიჯი არ გამომიტოვებია და ვიცნობოდი
თქვენს თავ-გადასავალს, ვეცნობოდი თქვენს საყვარლებს; ვიცი რომ
თქვენ მართალს ამბობთ და ეს მიწევს მე გონებას, იმიტომ რომ
მიყვარხართ გაგიყვებით! მიყვარხართ და ამიტომაც არ მინდა
თქვენი გაცნობა, თქვენთან დაახლოვება!

ამის შემდეგ მიხვდებით, რატომ არ მოვედი თქვენსას სახლში და არც
თეატრში.

ეხლა მშვიდობით! მე თქვენ ვერასოდეს ვერ გააკოცებთ. მაგრამ
თუ ოდესმე დაგპირდებათ რჩევა ან დახმარება მეგობრისა, გამიხსენეთ
მე. თქვენ ჩემში იპოვით უცვლელ შეყვარებულს.

მარიო.



პრ. მიხეილ წურჭავა
(დაჭრილ. და ტყვედა წაყვანილი).



პრაპ. იაკინთე მესხიშვილი
(დაჭრილი).



სურათი: გამიდიეს ქუჩა ქ. მონასტირში.

ტურინი 8 აპრილი 1892 წ.

იცით, რას ვეცყვით, სინიორ მარო? როგორც მსახიობი მე საკმაოდ
სულელი ვარ, მაგრამ როგორც ქალი კი მაგდენად არა, თუნდა მარტო
იმიტით, რომ კარგად ვიცნობ კაცებს. ამ ჯერობით კი სრულიად
სერიოზულად გეუბნებით: კმარა! გიყოფათ ამდენი ჩემზე
დაცინვა!

მე ისე ვცხოვრობ, როგორც მსურს. არავისგან ამაზე ნებართვას
არ ვეღებულა! თქვენ ჩემთვის არაფერს არ შეადგენთ, არც
როდისმე დაფიქრებულვარ თქვენზე.

თქვენ გამოიგზავნეთ ყვაილები, გამომიცხადეთ სიყვარული და
მე ჩვეულებრივად მოვისურვე თქვენზე ცნობების შეკრება. გავიგე,
რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ, მდიდარი, დამოუკიდებელი. ერთ-
ხელ დამანახვეს თქვენი თავი თეატრში და სიამოვნებით შევნიშნე,
რომ თქვენ ლამაზიც ხართ. მესიამოვნა, რომ სიმპატიურად მექცე-
ვით და აღვძარი თქვენში... სურვილი. გელოდით. გამოვტეხილვარ,
მე ველოდი არაჩვეულებრივს, ნაკლებ საზიზღარს შემთხვევას. მთე-

ლი კვირა მოლოდინის შემდეგ, კვლავ დავიწყე თქვენზე ცნობების შეკრება. გავიგე, რომ ახირებული ხასიათის პატრონი ყოფილხართ. რომ ყველაფერში და განსაკუთრებით სიყვარულში თქვენ ისე არ იქცევით, როგორც სხეუნი. მაშინ გასაჯავრებლად მოგწერეთ პირველი წერილი, გამოგტენილვარ, ცოტა მკვახე. პასუხად ისევ ყვავილები და სიყვარულის გამოძღვანება და სხვა არაფერი! გამოგიტყუდებით, რომ მე თქვენსავით თავაზიანად არავის მოვქცევია. ჩემი წერილები უპასუხოდ რჩებოდნენ—ანუ უკედ ვსთქვათ, ყოველ დღე ვღებულობდი ერთად-ერთ, შეუცვლელ, სათაკილო პასუხს—ყვავილებს...

ბოლოს, ჩემი მიღწევაში წასვლის დღეს, მე გამოვიანგარიშე თქვენგან თაიგულებში დახარჯული ფული, რაც შეადგენს სამას ლირამდის. ფუჭად მოლოდინის შემდეგ მოვიაზრე, რომ თქვენ უფრო ჭკვიანად მოიქცევოდით—ყვავილების ნაცვლმდ გეჩუქებინათ ჩემთვის სამაჯე, სამას ლირად ღირებული.

წავედი, დარწმუნებული, რომ ჩემის წასვლით ამ კომედიას ბოლო მივღებოდა, მაგრამ გუშინ საღამოს კიდევ მივიღე თქვენი წერილი. გეუბნებით, დამანებეთ თავი, მეყოთ ამდენი დაცინვა თქვენგან! მე ვეკუთვნი მას, ვინც სასყიდელს მომცემს! თუ გიყვარვართ, როგორც ამბობთ, თქვენც შეგიძლიანთ დაიკმაყოფილოთ თქვენი... სურვილი. ეს ცოტა მეტი დაგიჯდებათ, რასაც თქვენ თაიგულებზე ხარჯავთ...

უთუოდ გეხამუშებათ ჩემგან ასეთი სიტყვები. მით უკეთესი! მე მინდა მივალწიო ჩემს მიზანს—დაგიმტკიცოთ, რომ უბრალოდ ხარჯავთ დროს და სიტყვებს! ასეთმა ქალმა, როგორც ვარ, მე, იცის თავის ფასი. თუ თქვენ მართლა ეძებთ პოეზიას... (ცხოვრებაში ყველაფერი მოსალოდნელია) შემცდარხართ მისამართით. დეე ამ წერილმა, რომლითაც გათავდება ჩვენი... იდილია, დაგარწმუნოთ, თუ კიდევ იჭვი გაქვთ.

ნახვამდის, ძვირფასო სინიორ მარია! მე თქვენ არ გიჯავრდებით, რადგან ცოტათი გამართეთ. მაგრამ გირჩევთ, ამაზე შეჩერდეთ და ნულა დაიჭინებთ... ყოველი კარგი თამაში კარგია, როდესაც...

ანჟელა.

1 ნომერი 1892 წ.

ანჟელა, ისევ ვახსოვართ თუ არა? ჩემი გული წინანდებურად თქვენ გეკუთვნი.

აგერ ორი კვირა სრულდება, რაც მე ველოდები თქვენს მოსვლას, ვითვლი საათებს და წუთებს. ოქტომბრის შუა რიცხვებში მე დავინახე აფიშა მანკონის თეატრის კარებზე, რომელიც აცნობებდა თქვენი დასის დაბრუნებას. გუშინ წავედი თეატრში გასაგებად, რომელ საათზე და რომელი მატარებლით მოხვიდოდით. შევიტყვე, რომ დილის ექვს საათზე, ჩქარი მატარებლით, ბოლონიიდან. ხუთ საათზე უკვე სადგურზე ვიყავი და ათრთოლებული გელოდებოდით.

მატარებლიდან ნამძინარევი, დალაღული, თმა აწეწილი, მაგრამ მშვენიერი, უფრო ლამაზი, ვიდრე ოდესმე.

და მე გამახსენდა, ნახევარი წლის წინად თქვენი წასვლის დღე. მაშინაც ვიყავი ამ სადგურზე. რა მწუხარება გამოვსცადე მაშინ და სიხარული დღეს!

დმერთო, როგორ მწყუროდა თქვენი ნახვა!

რატომ არ მოვედი თქვენთან? დიახ, თქვენ შეგიძლიანთ ეს კითხვა მომცეთ. მაგრამ მე ვერ მოვახერხებ, ვერ შევიქლებ ამაზე გიპასუხოთ. მე ავადმყოფი კაცი ვარ, შემობრალეთ, ნურას მკითხავთ!

დღეს, ამ ერთი საათის წინეთ ისევ დავინახეთ და ეხლა ბედნიერი ვარ. თქვენ ჩაჯექით ეტლში, მე ვერ შემიძინეთ შემოდგომის ღრუბლიან დილას. უთუოდ თქვენი ფეხი ძალიან დაშორებული იყო ჩემზე! მეც ჩაჯექი ეტლში და გამოგიდექით. ეხლა ვიცი, სადაც დგებართ.

აი ისევ, ყვავილები, როგორც მაშინ. უარს ნუ ჰყოფთ ამათ! ნება დამართეთ, ამ ორი თვის განმავლობაში, ყოველ დღე გამოგიგზავნოთ. მხოლოდ ამას ვთხოვთ. ეს იქნება ერთად-ერთი უსიამოვნება, რომელსაც მე თქვენ მოგაყენებთ. ვერ მნახავთ, ვერ გაიგონებთ ჩემზე ერთ სიტყვას, მაგრამ ყვავილები, ყვავილები—გვედრებით, მიიღოთ! უარს ნუ მეტყვით! მე თქვენ გაგიუბით მიყვარხართ!

მარია.

1 ნომერი 1892 წ.

მე ხშირად ვფიქრობდი თქვენზე. მესიამოვნა ყვავილების მიღება ჩამოსვლისათნავე. სასიამოვნოა ის გრძობა, რომ თქვენ გაგახსენდით. დღეს მე არ ვთამაშობ, მაგრამ ცხრა საათზე ვიქნები თეატრში. შეიძლება მოხვდით იქ? მე მგონია, ჩვენ შეგვიძლია შევხედეთ ერთმანეთს, როგორც ნაცნობები. მელოდეთ ცხრა საათზე შესავალ კარებთან და როდესაც დამინახოთ—მომეგებეთ, როგორც კარგი ნაცნობი. თუ ვინმე დაგვესწროს იმ დროს, მომმართეთ, როგორც ძველ მეგობარს. მე მხოლოდ მინდა გავიგო, ხვალ რომელ საათზე გვექნება რეპეტიცია. შემდეგ დავბრუნდები სახლში შეგიძლიანთ გამაცილოთ... კარებამდის მაინც.

მაშ საღამომდის.

ანჟელა.

1 ნომერი. საღამო.

ამ წერილს თეატრის კასაში ვტოვებ, რომ თქვენ უბრალოდ არ მელოდოთ.

მე არ მოვალ არც ამ საღამოს და არც სხვა დროს. მე არ მინდა თქვენი გაცნობა. მაპატიეთ, ანჟელა.

მარია.

3 ნომერი 1892 წ.

რა გინდათ ჩემგან? რას ნიშნავს ეს სიყვარულის გამოცხადება, ეს ყვავილები და... მეტი არაფერი?

თქვენ გეშინიათ? რისი?

მოიღეთ მოწყალება, ამიხსენით!

ანჟელა.

4 ნომერი 1892 წ.

არაფერი არ მინდა თქვენგან.

მე მხოლოდ მინდა მიყვარდეთ! არა, ესეც არ მინდა, მაგრამ მიყვარხართ ჩემდა უნებლიეთ! ნუ სწუხართ ჩემზე. მიიღეთ ხოლმე ჩემი ყვავილები და ნება დამართეთ გიქტიროთ სცენაზე. მაგრამ მე კი ნუ შემომხედავთ. რომ იცოდეთ როგორ მიმიძის, როგორ ვიტანჯები თქვენის შემოხედვისაგან!

ჩემო ღვთაებრივო ანჟელა!

მარია.

10 ნომერი 1892 წ.

კიდევ თავს მახერხებთ? მე შევურიგდი თქვენს თაიგულებს; შევურიგდი თქვენს მკედრის მსგავს სახეს, რომელსაც ყოველ ღამ ვხედავ თეატრში; შევურიგდი თქვენს ჩაცვივრულ თვალებს, რომლებიც გამუღმებით მიყურებენ და მაშინებენ მე...

(სამწუხარო კია. ასე რომ არა, თქვენ ლამაზი იქნებოდით.) მაგრამ თქვენ მოგინდომებიათ ჩემი მზვერაობა. თვალს ადვენებთ ჩემი სახლიდან გამოსვლას, კვალ და კვლა მდევთ, ღამით მიდარაჯებთ, თეატრთან, რომ დაინახოთ, ვის მიეყვები, ვისთან მივდივარ სავაშმოდ, ვინ მაცილებს და ვინ... რჩება ჩემთან. ეს აუტანელია! გაბრთხილებთ თქვენსავე საკეთილდღეოთ, რომ თქვენი ახირებული ქცევა შენიშნულია. დღეს ან ხვალ ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს შეიძლება არ მოეწონოს თქვენი ჯაშუშობა და მე ვერ შევიძლებ აგაციდნოთ ხიფათს.

გთხოვთ, თავი დამანებოთ. დააქტიციეთ რომ თქვენ დენტ-ლემენი ხართ, როგორც თქვენზე ამბობენ.

გიმეორებთ, მოდიოთ ჩემთან. თქვენთვის აუცილებლად საჭიროა მოვილაპარაკოთ! მოვალე ხართ ეგრე მოიქცეთ!

მოხვალთ? მე თქვენთან ასეთი კეთილი ვარ, რომ არავისთან არ ვყოფილვარ. ეს კი თქვენ სულაც არ დავიმსახურნიათ.

მოხვალთ?

ანჟელა.

11 ნომერი 1892 წ.

არა, არ მოვალ.

მარია.

(დასასრული იქნება).

ფ. მესხი.

